<u>იაპონიის მთავრობის მიერ გამოყოფილი</u>

<u>არასაპროექტო საგრანტო დახმარებაზე ხელმოწერის ცერემონია</u>



2015 წლის 10 მარტს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაიმართა ურთიერთგაცვლით ნოტებზე ხელმოწერის ცერემონია, რომელიც შეეხო ხუთასი მილიონი (500,000,000) იაპონური იენის (ექვივალენტურია დაახლოებითი 4.2 მილიონი ა.შ.შ. დოლარის) საქართველოსთვის უზრუნველყოფას არასაპროექტო საგრანტო დახმარების სახით.

ურთიერთგაცვლით ნოტებსა და შესაბამის დოკუმენტაციას ხელი მოაწერეს ბატონმა ტოშიო კაიტანიმ - იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში და ბატონმა ნოდარ ხადურმა - საქართველოს ფინანსთა მინისტრმა.

აღნიშნული არასაპროექტო საგრანტო დახმარება გამიზნულია ახალი თაობის ეკო-მეგობრული ავტომობილების შესაძენად. მაგალითად, ჰიბრიდული ავტომობილი (HV), დასატენი ჰიბრიდული ელექტრო მობილი (PHEV), ელექტრომობილი (EV) და სუფთა დიზელზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალება (CD). მოსალოდნელია, რომ საგრანტო დახმარების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკოლოგიური გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

იაპონიამ საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით განახორციელა ოფიციალური განვითარების დახმარების ფარგლებში (ODA) სხვადასხვა მიმართულების პროექტები საგრანტო დახმარების, ტექნიკური თანამშრომლობისა და ოფიციალური განვითარების დახმარების (ODA) სესხის სახით. იაპონიის მიერ ოფიციალური განვითარების დახმარებამ საქართველოს მიმართ შეადგინა 370 მილიონი ა.შ.შ. დოლარი, რომელიც მოიცავს ფართო სპექტრს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ეკონომიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობა და სოციალური სექტორი, კულტურა და ადამიანური რესურსების განვითარება.